აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №5

2023 წლის 30 მაისი

ქ. ბათუმი

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

1. „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის №7 დადგენილებაში (სსმ, 06/08/2020, სარეგისტრაციო კოდი: 040090000.32.057.016331) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. წესის მოქმედება, მე-7 მუხლის გარდა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სამინისტროსთან გაფორმებულ ოქმში ან/და ხელშეკრულებაში სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესასრულებელ ვალდებულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორია სამინისტრო, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ან/და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**